წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი №6

ქ. თბილისი 9 მარტი, 2007 წელი

დღის წესრიგი:

1. უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება.

მომხსენებელი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ქალბატონი გულნაზი გალდავა

სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 28 წევრი.

1. ბიუჯეტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთეს საბჭოს წევრებმა.
ქ-ნ. დამანა მელიქიშვილი: "აკადემიური პერსონალის ძირითადი შტატი იყო გაცილებით მეტი, ამჟამად მოწვეულია 1132. ვთვლი, რომ საშტატო თანამშრომლები საკმარისი არ არიან, მიუხედავად იმისა, რომ საგნები შემცირდა. მეცნიერების განვითარების ფონდში შედის თუ არ სწავლება და ლაბორატორიის დაფინანსება?"

გიორგი შამათავა: " რიგგარეშე სხდომაზე წარმოდგენილი იქნება თვითმმართველობის საქმიანობა და სად მიდის ეს თანხები. ჩვენ წარმოგიდგენთ ყველა პროექტს და ღონისძიებების ნუსხას".

ელგუჯა მექვაბიშვილი: "აჯობებს თუ რეგლამენტირებული იქნება კითხვები და მასთან დაკავშირებული პასუხები".

ცირა ბარამიძე: "იქნებ სხვა ან სტუდენტთა თანხებიდან იქნას გადანაწილებული ექსედიციებისათვის თანხები. დღევანდელი ინფლაციის პირობებში გათვალისწინებულია თუ არა ხელფასების ზრდა".

რომან შაქრაშვილი: " რამდენად ვითვალისწინებთ 2007 წლის ბიუჯეტში წინა წლის ბიუჯეტის ცდომილებებს? მიზანშეწონილი იქნება წინა წლის ბიუჯეტის შესრულების განხილვა.

შოთა სამსონია: " სად მუშავდება ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხი?"

ელგუჯა მექვაბიშვილი: "ფაკულტეტების მიხედვით როგორია მოსალოდნელი შემოსავალი და თვით ფაკულტეტების მიხედვით თუ არის გაკეთებული კაპიტალური ხარჯები და რით არის განპირობებული რომ ადმინისტრაციის სამივლინებო ხარჯები 10000 ლარს აღემატება? შესაქმნელია ფაკულტეტის ბიბლიოთეკა და მიზანშეწონილია ამაზე მეტი თანის გამოყოფა".

გულნაზი გალდავა: " მოწვეული აკადემიური პერსონალის უკან დგას აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითმა საბჭო და ა.შ. არასწორად გატარებულმა მენეჯმენტმა შექმნა ეს პრობლემები და ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდებით აგვისტოს თვეში და თეთმეტთვიანი კონტრაქტი ალბათ საერთოდ ამოღებული იქნება. ექსპედიციებთან დაკავშირებით, როგორც ვიცი, თვითონ ფაკულტეტები არ არიან ჩამოყალიბებული, თუ რა გათვლა უნდა მომხდარიყო ამ ექსპედიციის ხარჯებთან დაკავშირებით".

შოთა მინდელი: "თვითონ შრომის ხელშეკრულება განსაზღვრავს შრომის ანაზრაურებას და ინფლაციას რაც შეეხება, დღეს ქვეყანაში არ არის მკვეთრად გამოკვეთილი ინფლაცია".

შოთა მინდელი: " სექტემბრისათვის გარკვეული ჭარბი თანხები უნდა გვქონდეს და ეს თანხა გადავა გარდამავალ ნაშთში".

გულნაზი გალდავა: "მავნე ნივთიერებებთან დაკავშირებით შესაბამისი ნორმა არ არის. როდესაც ის გაუქმდა ბრძანებით, 33000 ლარი გაიცა, როგორც შემწეობა. ის რასაც იღებდა ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი შემწეობა იყო ადმინისტრაციული ბრძანებით და ეს იურიდიულად გაუმართლებელია და 33000 ლარი ამ კატეგორიას რა უნდა მიეღო".

შოთა მინდელი: "ჩვენ აუცილებლად გვექნება დამატებითი შემოსავალი და ეს ბიუჯეტი არ იქნება უცვლელი და მთელი წლის განმავლობაში მასში ცვლილებები იქნება".

შოთა მინდელი: "სტუდენტები გვთხოვდნენ დახმარებას, რომ მოგვეძიებინა სოციალურად დაუცველი სტუდენტები და იქნებ ეს საკითხი დაგვერეგულირებინა. ნიჭიერ სტუდენტთა ფონდში გათვალისწინებული თუ არა მაგისტრატურა?"

გულნაზი გალდავა: "კრიტერიუმები უნდა დაადგინოს ყველამ ერთად (აკადემიური საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ა.შ.) და ამ კრიტერიუმის თანახმად დაფინანსდება ყველა ნიჭიერი სტუდენტი".

შოთა მინდელი: "ფაკულტეტის ბიუჯეტი, რაც არის გაწერილი, ეს პირობითია და ფაკულტეტები კვლავ მიიღებენ დახმარებას, კაპიტალური იქნება თუ საოფისე. მივლინების განაწილებას რაც შეეხება, აქ ხდება სამივლინებო კომპეტენციის გადაბარება ფაკულტეტებზე, თვითონ ფაკულტეტმა უნდა გადაწყვიტოს ვინ სად გაუშვას. გვაქვს 6 ფაკულტეტი, მაგრამ რეალურად ეს ფაკულტეტები დაჯგუფებული იყო სამ კატეგორიად და ყველაზე დიდი ცდომილება სამივლინებო თანხებთან სავარაუდოდ 5000-ზე მეტი არ ყოფილა".

ცირა ბარამიძე: "პროპორცია, რაც აქ არის დაფიქსირებული, მცირეა და თუ არის ეჭვი, რომ სამომავლოდ ესეც არ იყოს მაშინ როგორ უნდა მოვიქცეთ?"

შოთა მინდელი: "ეს თანხა შემცირდება სამომავლოდ. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები და შესაძლოა გარკვეული ცვლილებები შევიდეს ბიუჯეტში. 2010 წლისათვის განათლების სამინისტროს სუბსიდიულ დაფინანსებაზე უარს იტყვის და მხოლოდ დახმარებას გაგვიწევს".

რომან შაქარაშვილი: "ბიუჯეტი საკმაოდ მოკრზალებულია, მასზე მუშაობდა საკმაოდ კომპეტენტური ჯგუფი, ამ ეტაპზე ამაზე უკეთესი არ შეიძლება წარმოვიდგინო. თუმცა ვერცერთი ბიუჯეტი ვერ მოითმენს ასეთ პროპორციას. უნდა ვეცადოთ, უნივერსიტეტი განვიტარდეს და გაცილებით მეტი უნდა იყოს ხარჯები და ეს მიღწევადია. ოთხი-ხუთი წლის წინ ნებისმიერი სამინისტროს ბიუჯეტი ამაზე ნაკლები იყო და საკმაოდ იმედისმომცემი ბიუჯეტია".

გიორგი გოგსაძე: "ეს ბიუჯეტი მისაღებია, ადმინისტრაცია შემცირდა და ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი, ფაკულტეტების ავტონომიზაციას მივესალმები და ფინანსური ავტონომია საშუალებას მოგვცემს უფრო რაციონალურად წარიმართოს საქმიანობა. თუ სამომავლოდ ადმინისტრაციის თანამშრომელსა და პროფესორს თანაბარი ხელფასი ექნება, მე ბიუჯეტს მხარს არ დავუჭერ მომავალ წელს და იქნებ გაიზარდოს სოციალურ და პოლიტიკურ ფაკულტეტის ბიუჯეტი, კერძოდ პრაქტიკის თანხები".

შოთა მინდელი: "ეს ჩვენი სამომავლო გეგმებია და არცერთ ფაკულტეტზე არ ჩავაგდებთ პრაქტიკებს".

გულნაზი გალდავა: "ნამდვილად არ ვაპირებთ, რომ ადმინისტრაციის ხელფასი იყოს პროფესორის ხელფასის თანაბარი, მაგრამ ამ ეტაპზე ნამდვილად უნდა მოხდეს ანაზღაურების გაზრდა ადმინისტრაციული პერსონალისათვის და ასევე სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტს აუცილებლად გამოვუყოფთ ადგილს დეკანატისა და ბიბლიოთეკისათვის".

გულნაზი გალდავა: " წიგნადი ფონდი არსებობს, მაგრამ ბიბლიოთეკა არ არსებობს. ეს რეგულირებადია და სამომავლოდ იგეგმება უნივერსიტეტის ეზოში ბიბლიოთეკის აშენება".

კახა ლორია: "ხელისუფლებას გათვალისწინებული აქვს, რომ პრიორიტეტული არის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ამჟამინდელი ბიუჯეტი იმსახურებს მხარდაჭერას".

ბიუჯეტს მხარი დაუჭირა 27 წევრმა. თავი შეიკავა 1 წევრმა.

<u>მიღებული გადაწყვეტილება:</u>

1. დამტკიცდა უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტი.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი — კახაბერ ლორია

სხდომის მდივანი — მარიამ ჩეკურიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2007 წლის ბიუჯეტის განაწილება

ოდები	დანახარჯთა მუხლები	საშტატო რიცხოვნობა	2006წლის საკასო ხარჯი	2007 წლიური ხარჯი
	მთლიანი ხარჯები I+II	3,015	20,458,465	24,714,470
I	მიმდინარე ხარჯები		18,981,080	23,361,421
1 00 00	ხარჯები საქონელზე და მომსახურეობაზე		18,614,103	22,829,071
1 01 00	1.მუშა მოსამსახურეთა შრომის ანაზრაურება	3,015	10,920,516	14,656,766
	მათ შორის:			
1 01 01	ხელფასი			14,516,766
	1.აკადემიური პერსონალი-(ძირითადი შტატის თანამშრომლები)	790		5,100,480
	2.ადმინისტრაცია და მომსახურე პერსონალი (ძირითადი შტატის თანამშრომლები)	650		3,700,260
	3.მოწვეული თანამშრომლები	1,575		5,716,026
	ა) აკადემიური პერსონალი-(ერთწლიანი კონტრაქტი)	260		1,605,696
	ბ) აკადემიური პერსონალი-საათობრივი (სემესტრული კონტრაქტი)	872		1,860,154
	გ) ადმინისტრაცია და სხვა მომსახურე პერსონალი (კონტრაქტი)	250		1,350,000
	დ) სამეცნიერო ინსტიტუტები	54		104,400
	ე) ენების ცენტრი	139		695,280
	3) აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი			100,496
1 01 02	რექტორის ფონდი			100,000
1 01 04	დახმარება			40,000
1 02 00	2. დამქირავებლიდან ანარიცხები		2,222,237	2,932,153
	სოციალური გადასახადი		2,222,237	2,932,153
1 03 00	3. მივლინება		326,070	300,000
	მათ შორის:			
1 03 01	ქვეყნის შიგნით:			
1 03 02	ქვეყნის გარეთ:			
1 04 00	4. სხვა საქონელი და მომსახურება		5,145,280	4,940,152
	მათ შორის:			
1 04 01	ოფისის ხარჯები			525,000
	1. საკანცელარიო საქონლის შეძენა			85,000
	2.ჟურნალ-გაზეთების გამოწერა			40,000
	3..გამომცემლობისა და სასტამბო ხარჯები			200,000
	4.მცირეფასიანი სამეურნეო საქონლის,საოფისე ტექნიკის,ინვენტარის და მოწყობილობების შეძენა და დამონტაჟების ხარჯები			50,000
	5.სანიტარულ ჰიგიენური საგნების შეძენის ხარჯები			25,000
	6.სტუმრის მიღების ხარჯი (წარმომადგენლობითი ხარჯები)			75,000
	7.შენობა ნაგებობების და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯები			50,000
1 04 02	კომუნალური მომსახურება			2,187,152
	1.კავშირგაბმულობა			95,000
	2.საფოსტო მომსახურება			5,000
	3.ინტერნეტით მომსახურეობა			40,000
	4.ელექტროენერგია			660,152
	5.წყალ-კანალი			997,000
	6.ბუნებრივ აირი			300,000
	7.დასუფთავება			50,000
	8.შენობის პასპორტიზაციის ხარჯები			40,000
1 04 05	რბილი ინვეტარი და უნიფორმა			20,000
	1.რბილი ინვეტარი და უნიფორმა			20,000
1 04 06	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის ხარჯები			200,000
	1.საწვავი			130,000
	2.სათადარიგო ნაწილები			20,000
	3.მიმდინარე რემონტი			20,000
	4.ტრანსპორტის დაქირავება (გადაზიდვა)			20,000
	5ტრანსპორტის დაზღვევა			10,000
1 04 07	სპეციალური პროგრამების მომსახურება			
	სპეციალური პროგრამების მომსახურება			

04 08	**სხვა ხარჯები**			**2,008,000**
	1 სასწავლო პრაქტიკა			50,000
	2.სამეცნიერო ექსპედიციები			30,000
	3.სტუდ-ბილეთების, ჩათვლის წიგნაკების, დიპლომების შეძენა			40,000
	4.ბიბლიოთეკებისათვის და მუზეუმებისათვის წიგნებისა და სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაციის ხარჯი			10,000
	5.რეკლამის ხარჯები (გაზეთში, მორბენალი სტრიქონი, პლაკატები, ლოგოთი, დროის გამოყენება, ვიდეოკლიპი)			70,000
	6სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის ხარჯები (მედიცინ.ფაკ)			34,000
	7.სამეცნიერო ხარჯ.(რეაქტივების,ქიმიკატებისდა სამეც.მიზნით სხვა საქ.შეძ)			20,000
	8.ბანკის მომსახურეობის ხარჯი			6,000
	9.სტუდენტური თვითმართველობის ღონისძიებები (სპორტული, კულტურული,სამეცნიერო)			250,000
	10.მეცნიერების განვითარების ფონდი			300,000
	11.საუნივერსიტეტო ღონისძიებები			150,000
	12.საინფორმაციო ბაზების შექმნა			100,000
	13სასწავლო ლიტერატურის, ლექსიკონები, საგადასახადო, საბუღალტრო, იურიდიული და ლიტერატურის სხვათა შეძენის ხარჯები			60,000
	14.ტენდერის ხარჯები			5,000
	15.ქონების გადასახადი			48,000
	16.მოგების გადასახადი			500,000
	17ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯები			160,000
	18,ფაკულტეტების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი			75,000
	19.სხვა დანახარჯები			100,000
03 00 00	**5. სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერები**	81	366,977	532,350
03 03 03	**მიმდინარე ტრანსფერები**			
	1. ნიჭიერ სტუდენტთა ხელშეწყობის ფონდი			500,000
	2,სტიპენდია აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის სტუდენტებს (81სტუდენტი)	81		28,350
	3.სტიპენდია უცხოელ სტუდენტებს (გაცვლითი პროგრამა)			4,000
II	**6. კაპიტალური ხარჯები**		1,477,385	1,353,049
	მათ შორის:			
04 01 00	**მანქანა-დანადგარების,მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა**			519,031
	1.კომპიუტერული ტექნიკის შეძენა			469,031
	2.ავეჯის შეძენა			50,000
04 02 00	**შენობა-ნაგებობის შეძენა,მშენებლობა და რეკონსტრუქცია**			
	1შენობა-ნაგებობის შეძენა, მშენებლობა და რეკონსტრუქცია			
04 03 00	**მანქანა-დანადგარების, სატრანსპ.საშუალებების და შენობა-ნაგებობების კაპიტალური შეკეთება.**			834,018
	1.მანქანა-დანადგარების კაპიტალური შეკეთება			50,000
	2.შენობა-ნაგებობების კაპიტალური შეკეთება			200,000
	3.გათბობის სისტემის მოწყობა (მიზნობრივი)			584,018

საერთაშორისო ეკონომიკური სკოლა (მიზნობრივი)	1,750,000
თსუ-ს ფილიალები	**6,459,535**
სულ ხარჯი	32,924,005